ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №298464

ნომერი: AR169118

თარიღი : 04.08.2012

გაცემის თარიღი : 09.08.2012

გაცნობის თარიღი : 15.08.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტეტელაშვილის ქ. 8 (7/33 მიწის ნაკვეთზე მდგარი შენობა-ნაგებობა);

დამკვეთი-განმცხადებელი
- დოდო ჩაჩავა პ/ნ 35001002330
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 114

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ,,კულტურის ცენტრი იმედი,, კოდი: 202264227

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: . შ.პ.ს. ,,კულტურის ცენტრი ,,იმედი,,ს და შ.პ.ს. ,,ახალი ქართული ჯდუფი,,ს საზოგადოებრივი შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ მიქელაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დოდო ჩაჩავა და მზია ბერიაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35010002330 35001006182
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. კულტურის ცენტრი ,,იმედი,, შ.პ.ს. ,,ახალი ქართული ჯგუფი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202264227

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 274365
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 20.07.2012

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1159-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.05.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განიხილა თქვენი განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ დაგიდასტუროთ მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთზე 01.13.08.007.033; ნ/1159 და ნ/1159-1 05/19/2011, რომელიც ძალაშია 2013 წლის 13 ივნისის ჩათვლით და მოგცეთ სანებართვო მოწმობა.
სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას დადგინდა შემდეგი:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 19 მაისს N6/1159 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - დიდუბე), ტეტელაშვილის ქ. N8-ში, შ.პ.ს. "კულტურის ცენტრი იმედი", შ.პ.ს. "ახალი ქართული ჯგუფი", შ.პ.ს. "დარბაზი"–ს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე მდებარე საზოგადოებრივი შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვა და N6/1159-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2012 წლის 25 მაისის ჩათვლით.
2. 2012 წლის 11 ივნისის #193656 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 მაისის N6/1159 ბრძანებასა და N6/1159-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 25 მაისის ჩათვლით", შეიცვალა "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 13 ივნისის ჩათვლით";
3. 2012 წლის 20 ივლისს #274365 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - დიდუბე), ტეტელაშვილის ქ. N8-ში, შ.პ.ს. "კულტურის ცენტრი იმედი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე და ტეტელაშვილის ქ. N8-ში (7/33 მიწის ნაკვეთზე მდგარი შენობა–ნაგებობა), შ.პ.ს. "ახალი ქართული ჯგუფი"–სა და შ.პ.ს. "კულტურის ცენტრი იმედი"–ს თანასაკუთრაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე საზოგადოებრივი შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტი. (საფუძველში მითითებულია 2 საკადასტრო ერთეული N01.13.08.007.032 და N01.13.08.007.033)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, რომელიც ეხება როგორც განცხადების ნომენკლატურას, ასევე მოთხოვნის ტექსტს, კერძოდ :
1. განცხადებაში არასწორად არის მითითებული ნომენკლატურა, რადგან მითითებული მშენებლობის ნებართვები (მათ შორის, მშენებლობის ვადის გაგრძელება 2013 წ. 13 ივლისის ჩათვლით) გაცემული იყო ადრე შეთანხმებული პროექტის საფუძველზე. შემდგომ მოხდა პროექტის კორექტირება რაც საჭიროებს ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემას;
2. განცხადებაში მითითებულია მხოლოდ ერთი საკადასტრო კოდი, მაშინ როდესაც გაცემულ მშენებლობის ნებართვაში და შემდგომ კორექტირებული პროექტი შეთანხმების ბრძანებაში მითითებულია 2 საკადასტრო

ერთეული;
3. არასწორად არის მითითებული მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი (მითითებულია 0). იმის გამო რომ საჭიროა ახალი მშენებლობის ნებართვა, უნდა იყოს მითითებული – 811 (კორექტირებული პროექტის განაშენიანების ფართობის შესაბამისად);
4. ხარვეზით არის წარმოდგენილი ბანერი, რადგან მასზე არ არის მითითებული საპროექტო ობიექტის მისამართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 15 დღის ვადაში დაგევალოთ ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება, რის შემდეგაც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს მოთხოვნაზე. დადგენილ ვადაში მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.